პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 2 ივნისი, 1950 წ. № 115 (8675). ფასი 20 კაპ.

ბერლინი

თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურ საბჭოს

მადლობას ვუძღვნი მისალმების გამო მშვიდობისათვის ახალგაზრდა გერმანელ მებრძოლებს—სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის შეკრების მონაწილეებს.

ვუსურვებ გერმანელ ახალგაზრდობას, ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის აქტიურ მშენებლებს, ახალ წარმატებებს ამ დიად საქმეში.

ი. სტალინი

უხვი მოსავლისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

ჩვენი გაზეთის გუშინდელ და დღევანდელ ნომრებში დაბეჭდილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „1950-1951 წლებში მთლიანად მარცვლეული კულტურების, ხორბლის, ჭვავის, უგრეხელის, ფეტვის, ჩუმიძის, სიმინდის, ბრინჯის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, კანაფის, მზესუმზირის, საზეთე სელის, მდოგვის, აბუსალათინის, სოიის, არახისის, ქინძის, თამბაქოს, წეკოს, ქოქ-საღიზის, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესლის და კარტოფილის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მათი დაჯილდოების შესახებ“.

ეს ბრძანებულება უხვი მოსავლისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს რაზმავს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ამ ბრძანებულების თავისებურება ის არის, რომ მასში მთავარ იდეად მოცემულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთელ ნათეს ფართობზე უხვი მოსავლის მოყვანა. დაწესებულია ახალი საწარმოო მაჩვენებლები. თვითეულ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, მტს-ს, ბრიგადას, სოფლის მეურნეობის სპეციალისტს მოსავლიანობის გადიდების დარგში წაყენებული აქვს ახალი, უფრო მაღალი მოთხოვნები, ვიდრე წინათ. საჭიროა უხვი მოსავლის მოყვანა ნათესთა დიდ ფართობებზე, რომ მიღწეულ იქნას მოსავლიანობის საერთო გადიდება, სოციალისტური მიწათმოქმედების ახალი მძლავრი აღმავლობა.

თუ წინათ კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება ენიჭებოდა 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე განსაზღვრული რაოდენობის ხორბლისა და ჭვავის მოყვანისათვის, ახლა ეს წოდება ენიჭება იმ პირობით, თუ ხორბლისა და ჭვავის განსაზღვრული მოსავალი მოიწია სულ მცირე 60 ჰექტარზე და როცა ბრიგადის მარცვლეული კულტურების მთლიანი ნათესი შეადგენს სულ მცირე 90 ჰექტარს.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ამხანაგი სტალინი უდიდეს მზრუნველობას იჩენენ სოფლის მეურნეობისადმი. საბჭოთა სახელმწიფო სისტემატურ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს. მტს-ების მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჩაყენებულია კოლმეურნეობათა სამსახურში. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილნი არიან მინერალური სასუქებით. მკვეთრად ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა. საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების შესანიშნავი მიღწევებისა და უხვი მოსავლის ოსტატთა მდიდარი გამოცდილების გამოყენებით სოფლის მშრომელები სწრაფად ამრავლებენ მოწინავეთა რიგებს. მარტო 1947-1948 წლების შედეგების მიხედვით ჩვენს რესპუბლიკაში უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოფლის მეურნეობის 784 მუშაკს — კოლმეურნეებსა და სპეციალისტებს — მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. ამავე პერიოდში 5.500 კაცი, რომლებმაც უხვი მოსავალი მიიღეს, დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი რაოდენობა წარდგენილია მთავრობის ჯილდოებზე 1949 წლის მიღწევებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ უხვი მოსავლის ოსტატთა რიგები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამოცანა ის არის, რომ უკეთესად გამოვიყენოთ მათი გამოცდილება, ბოლშევიკური შეუპოვრობით ვიბრძოლოთ მარცვლეული, ტექნიკური, სუბტროპიკული, ზეთოვანი კულტურების და ბალახების თესლის მოსავლის მკვეთრად ამაღლებისათვის.

ახალი ბრძანებულება ემყარება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მაჩვენებლების ზონალურ პრინციპს. საწარმოო მაჩვენებლები დაწესებულია ამა თუ იმ ზონის თავისებურების, ამა თუ იმ მხარის, მისი კლიმატური და ნიადაგის პირობების მტკიცედ გათვალისწინების მიხედვით. მაგალითად, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის სხვადასხვა მაჩვენებელია დაწესებული კიევის, კურსკის ოლქების, ყირგიზეთის და საქართველოს სს რესპუბლიკებისათვის.

ბრძანებულებაში მთელი სიმკვეთრით დაყენებულია ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება ხდება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ჩაბარდება პირველი სამი ხარისხის თამბაქო — თამბაქოს ნედლეულის დამუშავების ხუთხარისხიანი სტანდარტის მიხედვით, და პირველი ორი ხარისხისა—ოთხხარისხიანი სტანდარტის მიხედვით, ხოლო წეკო პირველი ორი ხარისხისა — სულ ცოტა იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია კონტრაქტაციის გეგმით.

ახალი ბრძანებულება კოლმეურნეებს, სოფლის მშრომელებს რაზმავს კოლმეურნეობისათვის, საბჭოთა მეურნეობისათვის, ბრიგადისათვის დაწესებული მაჩვენებლების მთლიანად შესასრულებლად, სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულების პირნათლად გასანაღდებლად. სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად და ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად აუცილებელია სხვა პირობებთან ერთად კოლმეურნეობის მიერ შესრულებული იყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, მტს-ის სამუშაოთა ნატურსაზღაურის ჩაბარების გეგმა, ხოლო საბჭოთა მეურნეობების მიერ—სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მაჩვენებლებს აწესებს ორი წლისათვის — 1950-1951 წლებისათვის. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, კოლმეურნე გლეხობას. მთავარია ის, რომ მიმდინარე წელსვე მოვიყვანოთ ისეთი მოსავალი, რაც ბრძანებულებით დაწესებულ პირობებს უპასუხებს, ამავე დროს მოვამზადოთ პირობები მომავალ წელს უფრო უკეთესი მოსავლის მიღებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გამოქვეყნდა იმ მომენტში, როცა ჩვენში გაჩაღებულია ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, ნათესების მოვლა და მზადება პურეულის მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. ბრძანებულება დიდად შეუწყობს ხელს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებას.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა წინაშე ახალი გრანდიოზული ამოცანებია დასახული. უახლოეს წლებში საქართველო უზრუნველყოფილ უნდა იქნას საკუთარი პურით, მკვეთრად ამაღლდეს ჩაის, თამბაქოს, ღვინის ხარისხი. მზარდი რაოდენობით უნდა მოვაშენოთ ჯიშიანი ღორები, ძროხები, ფრინველი. ეს მოითხოვს ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის დაძაბულ შრომას, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ კოლმეურნეობებისადმი კონკრეტულ დიფერენცირებულ ხელმძღვანელობას. არ შეიძლება შევურიგდეთ ჩამორჩენას რომელიმე სახის სამუშაოში. ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი ავიყვანოთ მოწინავეთა დონემდე და ერთი წუთითაც არ შევანელოთ ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ სტალინური კანონის ურყევად განხორციელებისათვის.

სოფლის თვითეულ მშრომელს შესაძლებლობა აქვს მიაღწიოს ბრძანებულებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს. პარტიული ორგანიზაციების, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების ვალია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ეს ბრძანებულება საფუძვლიანად გააცნონ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებს.

საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად ეს ბრძანებულება საქართველოს კოლმეურნე გლეხობას, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი მამაცობისათვის, გამოიწვევს სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაჩაღებას. ეს საყოველთაო ღაშქრობა უხვი მოსავლისათვის ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ გადიდებას, პროდუქტების სიუხვის შექმნას, რაც აუცილებელია სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლისათვის.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1950-1951 წლებში მთლიანად მარცვლეული კულტურების, ხორბლის, ჭვავის, უგრეხელის, ფეტვის, ჩუმიძის, სიმინდის, ბრინჯის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, კანაფის, მზესუმზირის, საზეთე სელის, მდოგვის, აბუსალათინის, სოიის, არახისის, ქინძის, თამბაქოს, წეკოს, ქოქ-საღიზის, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესლის და კარტოფილის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მათი დაჯილდოების შესახებ*

ს. თამბაქო და წეკო

პირველ ჯგუფში შედის საქართველოს სსრ აღმოსავლეთი რაიონები;

მეორეში—კრასნოდარის მხარის ვაკე ზონა, აზერბაიჯანის სსრ ბელაქნის, ზაქათლის, კახის, ნუხის, ვარტაშენისა და კუტკაშენის რაიონები, სომხეთის სსრ (სევანის აუზის რაიონებისა და ახტის რაიონის გარდა) და საქართველოს სსრ დასავლეთი რაიონები;

მესამეში—სსრ კავშირის დანარჩენი რაიონები.

„სამსუნის“ ჯიშები

	რაიონების, ოლქების, მხარეების მოსავლიანობის ჯგუფი	სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება	დაჯილდოება: ლენინის ორდენით	დაჯილდოება: შრომის წითელი დროშის ორდენით	დაჯილდოება: მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ ან „შრომითი წარჩინებისათვის“	მთელ ნათეს ფართობზე, მაგრამ არანაკლებ (ჰექტარისა)
კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველები და აგრონომები	I	14	12	10	8	კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და აგრონომებისათვის—25, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველებისა და აგრონომებისათვის—50
	II	16	14	12	10	
	III	18	16	14	12	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები	I	15	13	11	8	კოლმეურნეობათა ბრიგადირებისათვის—10, საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირებისათვის—20
	II	17	15	13	10	
	III	19	17	15	12	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მერგოლურები	I	16	14	12	9	კოლმეურნეობათა მერგოლურებისათვის—5, საბჭოთა მეურნეობების მერგოლურებისათვის—6
	II	19	17	15	12	
	III	21	19	17	14	
საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და უფროსი აგრონომები	I	14	12	10	X	100
	II	16	14	12	X	
	III	18	16	14	X	

პირველ ჯგუფში შედის უზბეკეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ყაზახეთის სსრ და ტაჯიკეთის სსრ რაიონები;

მეორეში—აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და კრასნოდარის მხარის რაიონები;

მესამეში—სსრ კავშირის დანარჩენი რაიონები, ხოლო „სამსუნის“ ჯიში მწვარა № 1857—სსრ კავშირის ყველა რაიონში.

„დიუბეკის“ ჯიშები

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველები და აგრონომები	I	14	12	11	9	კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და აგრონომებისათვის—25, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველებისა და აგრონომებისათვის—50
	II	12	10	9	7	
	III	8	7	6	5	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები	I	16	14	13	10	კოლმეურნეობათა ბრიგადირებისათვის—10, საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირებისათვის—20
	II	14	12	11	8	
	III	10	8	7	6	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მერგოლურები	I	18	16	15	11	კოლმეურნეობათა მერგოლურებისათვის—5, საბჭოთა მეურნეობების მერგოლურებისათვის—6
	II	16	14	13	9	
	III	12	10	9	7	
საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და უფროსი აგრონომები	I	14	12	11	X	100
	II	12	10	9	X	
	III	8	7	6	X	

პირველ ჯგუფში შედის ყირიმის ოლქის ველის რაიონები;

მეორეში—ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, უზბეკეთის სსრ და ტაჯიკეთის სსრ რაიონები;

მესამეში—ყირიმის ოლქის იალტის რაიონი.

ჯიშები „მალტოვატა“, „ამერიკანი“ და „მახვილფოთლიანი“

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველები და აგრონომები	I	12	10	9	6	კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და აგრონომებისათვის—25, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველებისა და აგრონომებისათვის—50
	II	14	12	11	8	
	III	17	15	13	10	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები	I	13	10,5	9,5	7	კოლმეურნეობათა ბრიგადირებისათვის—10, საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირებისათვის—20
	II	15	13	11	9	
	III	18	16	14	11	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მერგოლურები	I	14	12	11	8	კოლმეურნეობათა მერგოლურებისათვის—5, საბჭოთა მეურნეობების მერგოლურებისათვის—6
	II	16	14	13	10	
	III	19	17	15	12	
საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და უფროსი აგრონომები	I	12	10	9	X	100
	II	14	12	11	X	
	III	17	15	13	X	

პირველ ჯგუფში შედის სამხრეთ სანაპიროს რაიონები და მთის რაიონები ყირიმის ოლქისა;

მეორეში—ყირიმის ოლქის მთის ძირის რაიონები და მოლდავეთის სსრ რაიონები;

მესამეში—სსრ კავშირის დანარჩენი რაიონები.

ბაკუნები, სასიგარე და ფართოფოთლიანი

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველები და აგრონომები	I	23	19	16	11	კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და აგრონომებისათვის—25, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველებისა და აგრონომებისათვის — 50
	II	26	21	19	15	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები	I	25	21	18	13	კოლმეურნეობების ბრიგადირებისათვის—10, საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირებისათვის- 20
	II	28	23	21	17	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მერგოლურები	I	27	23	20	15	კოლმეურნეობათა მერგოლურებისათვის—5, საბჭოთა მეურნეობების მერგოლურებისათვის--6
	II	30	25	23	19	
საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და უფროსი აგრონომები	I	23	19	16	X	100
	II	26	21	19	X	

პირველ ჯგუფში შედის აფხაზეთის ასსრ რაიონები;

მეორეში—სსრ კავშირის დანარჩენი რაიონები.

წ ე კ ო

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველები და აგრონომები	I	70	58	49	35	კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და აგრონომებისათვის—25, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველებისა და აგრონომებისათვის—50
	II	60	50	42	30	
	III	50	42	35	25	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები	I	75	63	53	38	კოლმეურნეობების ბრიგადირებისათვის—10, საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირებისათვის--20
	II	65	54	46	34	
	III	55	45	38	27	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მერგოლურები	I	80	67	56	40	კოლმეურნეობების მერგოლურებისათვის—5, საბჭოთა მეურნეობების მერგოლურებისათვის-- 6
	II	70	58	49	35	
	III	60	50	42	30	
საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და უფროსი აგრონომები	I	70	58	49	X	100
	II	60	50	42	X	
	III	50	42	35	X	

* დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 114.

პირველ ჯგუფში შედის უკრაინის სსრ რაიონები;

მეორეში—ვორონეჟის, გორკისა და ტამბოვის ოლქების რაიონები;

მესამეში—სსრ კავშირის დანარჩენი რაიონები.

სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ჩაბარდება პირველი სამი ხარისხის თამბაქო თამბაქოს ნედლეულის დამუშავების ხუთხარისხიანი სტანდარტის მიხედვით და პირველი ორი ხარისხისა—ოთხხარისხიანი სტანდარტის მიხედვით, ხოლო წეკო პირველი ორი ხარისხისა—სულ ცოტა იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია კონტრაქტაციის გეგმით.

ფ. ბალახების თესლი

		სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება	დაჯილდოება: ლენინის ორდენით	დაჯილდოება: შრომის წითელი დროშის ორდენით	დაჯილდოება: მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ ან „შრომითი წარჩინებისათვის“	მთელ ნათეს ფართობზე, მაგრამ არანაკლებ (ჰექტარისა)
კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, მტს-ებისა და სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა უბნის აგრონომები, მტს-ების უბნის მექანიკოსები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და ტრაქტორისტები	სამყურა	5	3,5	3	2,5	კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და აგრონომებისათვის სამყურაზე—20, დანარჩენ ბალახებზე—30, უბნის აგრონომებისა და მექანიკოსებისათვის—120, სატრაქტორო ბრიგადისათვის—60
	იონჯა	4	3	2,5	2	
	ტიმოთელა, კაპუეტა, მელაკუდა	6,5	4,5	4	3	
	კონდარი, მდელოს წივანა, სათითურა, ციმბირული ელიმუსი, უფესურო შანგა, უფხო შვრიელა	6	5	4,5	4	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირები, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა (ფერმების) მმართველები, აგრონომები, მექანიკოსები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და ტრაქტორისტები	მდელოს თივაქასრა, წითელი წივანა და სხვა მდელო საძოვრის ბალახები	2,5	2,0	1,6	1,2	
	ესპარცეტი, ჩიტიფეხა, სუდანურა	12	9	7	6	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირები, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა (ფერმების) მმართველები, აგრონომები, მექანიკოსები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და ტრაქტორისტები	სამყურა	5,5	4	3,5	2,5	კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირებისათვის სამყურაზე - 10, დანარჩენ ბალახებზე—15, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მუშაკებისათვის—20
	იონჯა	4,5	3,5	3	2	
	ტიმოთელა, კაპუეტა, მელაკუდა	6	5	4	3	
	კონდარი, მდელოს წივანა, სათითურა, ციმბირული ელიმუსი, უფესურო შანგა, უფხო შვრიელა	6,5	5,5	4,5	4	
	მდელოს თივაქასრა, წითელი წივანა და სხვა მდელო საძოვრის ბალახები	3	2,5	2	1,5	
	ესპარცეტი, ჩიტიფეხა, სუდანურა	13	10	8	6,5	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მერგოლურები (ფართო მწკრივად თესვის დროს)	სამყურა	6,5	5	4,5	3,5	5
	იონჯა	5,5	4,5	4	3	
საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, უფროსი აგრონომები და უფროსი მექანიკოსები	სამყურა	5	3,5	3	X	120
	იონჯა	4	3	2,5	X	
	ტიმოთელა, კაპუეტა, მელაკუდა	6,5	4,5	4	X	
	კონდარი, მდელოს წივანა, სათითურა, ციმბირული ელიმუსი, უფესურო შანგა, უფხო შვრიელა	6	5	4,5	X	
	მდელოს თივაქასრა, წითელი წივანა და სხვა მდელო საძოვრის ბალახები	2,5	2,0	1,6	X	
	ესპარცეტი, სუდანურა, ჩიტიფეხა	1	9	7	X	

იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც აქვთ 100 ჰექტარზე მეტი პარკოსანი მრავალწლიანი ბალახების სათესლე ნაკვეთები, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში—250 ჰექტარზე მეტი, მოსავლიანობის მაჩვენებლები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და აგრონომებისათვის, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, უფროსი აგრონომებისა და უფროსი მექანიკოსებისათვის მცირდება 10 პროცენტით.

უ. კარტოფილი

	სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება	დაჯილდოება: ლენინის ორდენით	დაჯილდოება: შრომის წითელი დროშის ორდენით	დაჯილდოება: მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ ან „შრომითი წარჩინებისათვის“	მთელ ნათეს ფართობზე, მაგრამ არანაკლებ (ჰექტარისა)
კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, მტს-ებისა და სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა უბნის აგრონომები, მტს-ების უბნის მექანიკოსები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და ტრაქტორისტები	450	360	290	210	კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და აგრონომებისათვის—30, უბნის აგრონომებისა და მექანიკოსებისათვის—150, სატრაქტორო ბრიგადისათვის—75
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირები	500	400	320	230	18
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მერგოლურები	550	440	360	260	6
საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა (ფერმების) მმართველები, აგრონომები, მექანიკოსები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და ტრაქტორისტები	480	380	310	220	75
საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, უფროსი მექანიკოსები და უფროსი აგრონომები	450	360	290	X	150

2. როცა მთელ სარწყავ მიწებზე ითესება მარცვლეული კულტურები ხორბალი, ჭვავი, უგრეხელი, ფეტვი, ჩუმიძა, მზესუმზირა, სოია, თამბაქო, წეკო, ბალახების თესლი და კარტოფილი, ამ ბრძანებულების 1 მუხლით დაწესებული მოსავლიანობის მაჩვენებლები დიდდება 25 პროცენტით. სარწყავი მებამბეობის რაიონებში სარწყავ მიწებზე მარცვლეული კულტურების დიდი მოსავლის მოყვანისათვის დაჯილდოება არ ხდება.

3. როცა კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი ამ ბრძანებულების 1 მუხლით დაწესებულზე ნაკლებია, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭოთ და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირთათვის დაწესებული მოსავლიანობის მაჩვენებლებისა და ფართობის ოდენობის მიხედვით, ხოლო საბჭოთა მეურნეობების დირექტორები — საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა (ფერმების) მმართველებისათვის დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით.

4. როცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირებს ან მერგოლურებს აქვთ შესაბამისი კულტურის ნათესი ფართობი, რაც ერთიორად და მეტად, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანარჩენ კატეგორიათა მუშაკებს, აგრეთვე მტს-ების მუშაკებს აქვთ ეს ნათესი, რაც ერთისამად და მეტად აღემატება ამ ბრძანებულების 1 მუხლით დაწესებული მინიმალური ფართობის ოდენობას, 1 მუხლში ჩამოთვლილი მოსავლიანობის მაჩვენებლები მცირდება 10 პროცენტით, მაგრამ ეს მაჩვენებლები არ უნდა იყოს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის დაწესებულ საგეგმო მოსავლიანობაზე ნაკლები.

როცა საბჭოთა მეურნეობას აქვს 7.000 ჰექტარზე მეტი მარცვლეული კულტურების ნათესი, ან 4.500 ჰექტარზე მეტი ხორბლისა და ჭვავის ნათესი, ხოლო საბჭოთა მეურნეობის განყოფილებას ან კოლმეურნეობას — 2.000 ჰექტარზე მეტი მარცვლეული კულტურების ნათესი ან 1.300 ჰექტარზე მეტი ხორბლისა და ჭვავის ნათესი, მთელი მარცვლეული კულტუ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1950-1951 წლებში მთლიანად მარცვლეული კულტურების, ხორბლის, ჭვავის, უგრეხელის, ფეტვის, ჩუმიძის, სიმინდის, ბრინჯის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, კანაფის, მზესუმზირის, საზეთე სელის, მდოგვის, აბუსალათინის, სოიის, არახისის, ქინძის, თამბაქოს, წეკოს, ქოქ-საღიზის, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესლის და კარტოფილის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მათი დაჯილდოების შესახებ

(გაგრძელება)

რების, ხორბლისა და ჭვავის მოსავლიანობის მაჩვენებლები, რაც დაწესებულია ამ ბრძანებულების 1 მუხლით, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისათვის, უფროსი აგრონომებისათვის, უფროსი მექანიკოსებისათვის, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა (ფერმების) მმართველების, აგრონომებისა და მექანიკოსებისათვის, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და აგრონომებისათვის, მცირდება 15 პროცენტით, მაგრამ საბჭოთა მეურნეობის ან კოლმეურნეობისათვის დაწესებულ საგეგმო მოსავლიანობაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

5. გადიდდეს ჯილდოს ხარისხი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეთათვის, როცა მათ მიერ მოყვანილია ორი ან რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი, რაც იძლევა შრომის წითელი დროშის ორდენით ან სსრ კავშირის მედლით დაჯილდოების უფლებას.

მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეებს, როცა მათ მიერ მოყვანილია უხვი მოსავალი, რაც იძლევა ლენინის ორდენით დაჯილდოების უფლებას მათთვის მიჩენილი თვითეული კულტურის მიხედვით, იმ პირობით, თუ ბრიგადაში, კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურნეობაში არის არანაკლებ ხუთი სასოფლო-სამეურნეო კულტურისა, მარცვლეული კულტურების ერთად ჩათვლით, გარდა ბრინჯისა და სიმინდისა.

6. დაწესდეს, რომ ტრაქტორისტები, რომლებიც ერთად მუშაობენ სატრაქტორო ბრიგადისათვის მიჩენილ ფართობზე, ჯილდოვდებიან იმავე ხარისხის ჯილდოთი, რითაც სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, მთლიანად მარცვლეული კულტურების, ხორბლისა და ჭვავის უხვი მოსავლის მოყვანისათვის, თუ ამ კულტურების ფართობი საშუალოდ ერთ ტრაქტორზე შეადგენს იმ ფართობზე არანაკლებს, რაც ტრაქტორისტებისათვის გათვალისწინებულია ამ ბრძანებულების 1-ლი მუხლით.

7. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და აგრონომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მერგოლურებს, მტს-ებისა და სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა უბნის აგრონომებს, მტს-ების უბნის მექანიკოსებს, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა (ფერმების) მმართველებს, აგრონომებსა და მექანიკოსებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებსა და ტრაქტორისტებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, უფროს აგრონომებსა და უფროს მექანიკოსებს, რომლებმაც მოიყვანეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ამ ბრძანებულების 1-ლი მუხლით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება ენიჭებათ და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ჯილდოვდებიან, თუ შესრულებულია შემდეგი სავალდებულო პირობები:

ა) თუ კოლმეურნეობის მიერ შესრულებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, მტს-ის სამუშაოთა ნატურსაზღაურის ჩაბარების გეგმა, ხოლო საბჭოთა მეურნეობის მიერ — სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა;

ბ) თუ შესრულებულია მთლიანად მარცვლეული კულტურების და მოწინავისათვის მიჩენილი წამყვანი ტექნიკური კულტურის თესვისა და მოსავლის აღების გეგმა,—სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად;

თუ შესრულებულია მოწინავისათვის მიჩენილი ყველა იმ კულტურის თესვისა და მოსავლის აღების გეგმა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ბრძანებულებით, — სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად;

გ) თუ მოწინავის მიერ მიღებულია იმ კულტურის უხვი მოსავალი, რომლისთვისაც დაჯილდოება ხდება, არანაკლებ გეგმით გათვალისწინებული მოსავლიანობის ოდენობისა, რაც დაწესებულია კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობისათვის;

დ) თუ კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა უზრუნველყოფილია მომავალი წლის მოსავლის მისაღებად დასათესი კონდიციური თესლით;

ე) თუ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის მიერ შესრულებულია მინდორსაცავი ტყის გაშენების, ნარგავების მოვლისა და სანერგეებში ტყის სანერგე მასალის გამოყვანის სამუშაოთა გეგმა.

გარდა ამისა, დაწესდეს შემდეგი დამატებითი პირობები:

ა) კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისათვის—თუ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის მიერ შესრულებულია პირუტყვის სულადობის განვითარების გეგმა და თუ კოლმეურნეობაში არის მეცხოველეობის სულ მცირე ოთხი ფერმა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, მეცხვარეობისა, მეღორეობისა (გარდა იმ რაიონებისა, სადაც საყოფაცხოვრებო პირობების მიხედვით მეღორეობა განვითარებული არ არის) და მეფრინველეობისა (გარდა იმ კოლმეურნეობებისა, რომლებსაც მარცვლეული კულტურების ნათესი არა აქვთ);

ბ) სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებისა და ტრაქტორისტებისათვის—თუ სატრაქტორო სამუშაოთა, მათ შორის ნაწვერალის აოშვის, წინასახნისიანი გუთნით მზრალად ხვნის, წინასახნისიანი გუთნით ანეულის ხვნის, ანეულის დამუშავების, საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების თესვისა და სათოხნი კულტურების რიგთა შორის დამუშავების გეგმები შესრულებულია კოლმეურნეობასთან მტს-ის ხელშეკრულებით დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში სამუშაოთა მაღალი ხარისხის დაცვით.

8. დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ის კოლმეურნენი, სატრაქტორო ბრიგადების მუშაკები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, იმის მიხედვით, თუ რა მონაწილეობა მიიღეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოყვანაში, აგრეთვე დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მეცნიერი მუშაკები, რომლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უხვი მოსავლის მოყვანაში.

9. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭოთ და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნან მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კომბაინერები შემდეგი პირობების შესრულებისას:

ა) თუ მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ან მარცვლეული კულტურების გალეწვისას მიიღეს კონდიციური მარცვალი კომბაინით აღებულ ფართობზე 25 სამუშაო დღეში, ხოლო სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში 35 სამუშაო დღეში შემდეგი ოდენობით:

	სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება	დაჯილდოება: ლენინის ორდენით	შრომის წითელი დროშის ორდენით	მედლებით „შრომითი მამაცობისათვის" ან „შრომითი წარჩინებისათვის"
კომბაინ „სტალინეც — 1"-ით ან „სტალინეც — 6"-ით მუშაობისას (ცენტნერი)	8000	6000	5000	3500
კომბაინ „კომუნარით" ან თვითმავალ კომბაინ ს—4-ით მუშაობისას (ცენტნერი)	6000	4500	3500	2500

ბ) თუ მოსავლის აღება ჩატარებულია კარგი ხარისხით, უდანაკარგოდ და თუ მოსავლის აღების შემდეგ კომბაინი კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია.

კომბაინით ბალახების თესლის აღებისას გალეწილი ბალახის ერთი ცენტნერი თესლი ჩაითვლება მარცვლეული კულტურების ხუთ ცენტნერ თესლად.

ორი გადაბმული კომბაინით მუშაობისას გალეწვის მაჩვენებლები ერთ კომბაინზე მცირდება 20 პროცენტით.

დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით კომბაინის აგრეგატების ის მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, იმის მიხედვით, თუ რა მონაწილეობა მიიღეს კომბაინებით მოსავლის აღებისას დიდი გამომუშავების მიღწევაში.

10. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭოთ და დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკები, აგრონომები და ხელმძღვანელი რაიონული მუშაკები, რომლებმაც მოიყვანეს უხვი მოსავალი ქოქ-საღიზის ფესვისა არანაკლებ შემდეგი მოსავლიანობისა (ცენტნერობით ჰექტარზე) ან ქოქ-საღიზის თესლისა (კილოგრამობით ჰექტარზე):

ქოქ-საღიზის ფესვი

	პლანტაციები	სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება	დაჯილდოება: ლენინის ორდენით	შრომის წითელი დროშის ორდენით	მედლებით „შრომითი მამაცობისათვის" ან „შრომითი წარჩინებისათვის"	ქოქ-საღიზის ფესვის ნაბარები ფართობიდან სულ მცირე (ჰექტარობით)
კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტები, რომლებიც სათოხნ ტრაქტორებზე მუშაობენ	ერთწლიანი ორწლიანი	55 44	45 36	35 28	30 24	12
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეკაუჩუკეობისა და მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები	ერთწლიანი ორწლიანი	60 48	50 40	40 32	30 24	6
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მერგოლურები	ერთწლიანი ორწლიანი	65 52	55 44	45 36	35 28	2
მტს-ების უბნის მეკაუჩუკე აგრონომები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები, უბნის მექანიკოსები, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა (ფერმების) მმართველები, აგრონომები, მექანიკოსები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები	ერთწლიანი ორწლიანი	55 44	45 36	35 28	30 24	25
საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, უფროსი აგრონომები და უფროსი მექანიკოსები	ერთწლიანი ორწლიანი	50 40	42 34	34 27	X X	50
მტს-ების დირექტორები, უფროსი აგრონომები და უფროსი მექანიკოსები	ერთწლიანი ორწლიანი	45 36	38 30	33 26	X X	150
მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები და პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა გამგეები, მთავარი და უფროსი მეკაუჩუკე აგრონომები	ერთწლიანი ორწლიანი	45 36	38 30	33 26	X X	300

ქოქ-საღიზის თესლი

	სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება	დაჯილდოება: ლენინის ორდენით	შრომის წითელი დროშის ორდენით	მედლებით „შრომითი მამაცობისათვის" ან „შრომითი წარჩინებისათვის"	ქოქ-საღიზის თესლის ნაბარები ფართობიდან სულ მცირე (ჰექტარობით)
კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტები, რომლებიც სათოხნ ტრაქტორებზე მუშაობენ	110	85	70	50	12
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეკაუჩუკეობისა და მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები	130	100	80	60	6
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მერგოლურები	140	110	90	65	2
მტს-ების უბნის მეკაუჩუკე აგრონომები, უბნის მექანიკოსები და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა (ფერმების) მმართველები, აგრონომები, მექანიკოსები და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები	100	80	65	45	25
საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, უფროსი აგრონომები და უფროსი მექანიკოსები	90	70	55	X	50
მტს-ების დირექტორები, უფროსი აგრონომები და უფროსი მექანიკოსები	80	60	45	X	150
მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები და პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა გამგეები, მთავარი აგრონომები და უფროსი მეკაუჩუკე აგრონომები	80	60	45	X	300

ლატვიისა და ლიტვის სს რესპუბლიკებში, მორდვეთისა და თათრეთის ასს რესპუბლიკებში, ბრიანსკის, ველიკიე ლუკის, ვორონეჟის, გორკის, კალინინის, კიროვის, ლენინგრადის, მოსკოვის, რიაზანის, სმოლენსკისა და ტამბოვის ოლქებში მტს-ების დირექტორებს, უფროს აგრონომებსა და უფროს მექანიკოსებს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭოთ და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნან, თუ შეასრულებენ მოსავლიანობის აღნიშნულ მაჩვენებლებს სულ მცირე 100 ჰექტარ ფართობზე, ხოლო სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა გამგეებს, უფროს აგრონომებსა და უფროს მეკაუჩუკე აგრონომებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებს—სულ მცირე 200 ჰექტარ ფართობზე.

სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭოთ და დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავენი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, აგრონომები და ხელმძღვანელი რაიონული მუშაკები, რომლებმაც მოიყვანეს ქოქ-საღიზის ფესვის ან თესლის მოსავალი იმ ოდენობით, რაც დაწესებულია ამ ბრძანებულების მე-10 მუხლით, იმ პირობით. თუ შეასრულეს ქოქ-საღიზის ფესვისა და თესლის კონტრაქტაციის გეგმა, დამოუკიდებლად სხვა კულტურების მოსავლიანობის გეგმების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, მტს-ის სამუშაოთა ნატურსაზღაურის ჩაბარების გეგმების შესრულებისა და ყველა სხვა პირობისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ბრძანებულების მე-7, მე-12, მე-13 მუხლებით.

დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ის კოლმეურნენი, სატრაქტორო ბრიგადების მუშაკები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, იმის მიხედვით, თუ რა მონაწილეობა მიიღეს ქოქ-საღიზის ფესვისა და თესლის უხვი მოსავლის მოყვანაში, აგრეთვე დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მეცნიერი მუშაკები, რომლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ქოქ-საღიზის უხვი მოსავლის მოყვანაში.

დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით საცდელი, სამეცნიერო-საკვლევო და სასელექციო სადგურების მუშაკები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სასწავლო მეურნეობათა მუშაკები, თუ მათ შეასრულეს ის მაჩვენებლები, რომლებიც დაწესებულია საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეკაუჩუკეობისა და მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები და მერგოლურები, უბნის მეკაუჩუკე აგრონომები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, განყოფილებათა მმართველები და აგრონომები და უფროსი აგრონომები ჯილდოვდებიან ორდენებითა და მედლებით და ენიჭებათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება, თუ ქოქ-საღიზის ნათესი ფართობი საშუალოდ 0,3 ჰექტარზე არანაკლებია რგოლის წევრზე, იმ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა გარდა, რომლებსაც დამატებით იყენებენ ქოქ-საღიზის თესლის მოსავლის ასაღებად.

დაწესდეს, რომ ერთი წლის შედეგების მიხედვით მოწინავე შეიძლება დაჯილდოებულ იქნას ერთხელ ქოქ-საღიზის ფესვისა ან თესლის მოსავლიანობის უმაღლესი მაჩვენებლების შესაბამისად.

11. დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებით:

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები და პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები—მთლიანად რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის,

სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა გამგეები და მთავარი აგრონომები — მთლიანად რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის,

მტს-ების დირექტორები, უფროსი აგრონომები, უფროსი მექანიკოსები—სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ყველა იმ კოლმეურნეობაში, რომლებსაც მომსახურებას უწევს მტს-ი,

(პროცენტობით გეგმის მიმართ):

კულტურები	დაჯილდოება: ლენინის ორდენით	შრომის წითელი დროშის ორდენით	ნათესის მთელ ფართობზე, მაგრამ არანაკლებ (ჰექტარისა)
ხორბალი და ჭვავი ან ყველა მარცვლეული კულტურები ერთად	10	5	5.000
სიმინდი, უგრეხელი, ფეტვი, ჩუმიძა	15	10	2.000
ბრინჯი	15	10	1.000
შაქრის ჭარხალი	15	10	1.000
მზესუმზირა	15	10	1.000
მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები	10	5	1.000
საბოჭკოე სელი და კანაფი	10	5	1.000
კარტოფილი	30	20	1.000
თამბაქო და წეკო	30	20	400
სოია	15	10	1.000
მდოგვი, საზეთე სელი, ქინძი, აბუსალათინი, არახისი.	30	20	500

12. სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებულ იქნან რაიონული ორგანიზაციებისა და მტს-ების ხელმძღვანელები, რომლებმაც უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოყვანა, როცა შესრულებულია ქვემოაღნიშნული პირობები:

მთლიანად რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისა და პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებისათვის,

მთლიანად რაიონის კოლმეურნეობებში—სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა გამგეებისა და მთავარი აგრონომებისათვის,

ყველა იმ კოლმეურნეობაში, რომელთაც მტს-ი უწევს მომსახურებას,— მტს-ის დირექტორების, უფროსი აგრონომებისა და უფროსი მექანიკოსებისათვის:

ა) როცა იმ კულტურის ფაქტიური მოსავლიანობა, რომლისთვისაც დაჯილდოება ხდება, მიღებულია მე-11 მუხლით დადგენილი ოდენობით, მაგრამ არანაკლებ (ჰექტარზე): ხორბალი და ჭვავი ან მარცვლეული კულტურები ერთად (გარდა სიმინდისა და ბრინჯისა) 12 ცენტნერი, სიმინდი 25 ცენტნერი, ბრინჯი 30 ცენტნერი, შაქრის ჭარხალი 200 ცენტნერი, მზესუმზირა 15 ცენტნერი, საბოჭკოე სელის ბოჭკო 3,5 ცენტნერი, შუა რუსეთის კანაფის ბოჭკო 5 ცენტნერი, სამხრეთის კანაფის ღერო 30 ცენტნერი და სოია 15 ცენტნერი ჰექტარზე სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებისა და სხვა რაიონებისათვის;

ბ) როცა შესრულებულია ყველა მარცვლეული კულტურისა და წამყვანი ტექნიკური კულტურის თესვისა და მოსავლის მოყვანის გეგმა;

გ) როცა კოლმეურნეობებს შესრულებული აქვთ მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის სავალდებულო ჩაბარების გეგმა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციის გეგმა, მტს-ის მუშაობისათვის ნატურსაზღაურის ჩაბარების გეგმა, როცა საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული აქვთ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების გეგმა, ხოლო სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა მთავარი აგრონომებისა და მტს-ების დირექტორების, უფროსი აგრონომებისა და უფროსი მექანიკოსებისათვის — როცა შესრულებულია მემინდვრეობის პროდუქციის სავალდებულო ჩაბარების გეგმა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციის გეგმა და მტს-ის მუშაობისათვის ნატურსაზღაურის ჩაბარების გეგმა;

დ) როცა რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არიან მომავალი წლის მოსავლის მისაღებად დასათესი საკონდიციო თესლით;

ე) როცა შესრულებულია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხენის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის სულადობის განვითარების გეგმა;

ვ) როცა შესრულებულია მინდორსაცავი ტყის გაშენების, ნარგავების მოვლისა და სანერგეებში ტყის სანერგე მასალის გამოყვანის სამუშაოთა გეგმა.

13. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა გამგეებსა და მთავარ აგრონომებს, მტს-ების დირექტორებს, უფროს აგრონომებსა და უფროს მექანიკოსებს ყველა მარცვლეული კულტურის ან ხორბლის, ჭვავის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, კანაფის, ბალახების, ხოლო მოლდავეთის სსრ რაიონებისათვის, გარდა ამისა, სიმინდის და შორეული აღმოსავლეთის რაიონებისათვის სოიის მოსავლის აღების გეგმის 20 პროცენტით გადაჭარბებისათვის, როცა შესრულებულია შემდეგი პირობები:

ა) სათანადო კულტურის ნათესის მთელ ფართობზე მიღებულია უხვი მოსავალი, მაგრამ არანაკლებ ამ ბრძანებულების მე-11 მუხლით დადგენილისა;

ბ) თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ შესრულებულია იმ კულტურის მოსავლის მოყვანის გეგმა, რომლისთვისაც ხდება სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება;

გ) შესრულებულია ამ ბრძანებულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობები.

14. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების, პარტიის რაიონული კომიტეტების, სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილებების, წყალთა მეურნეობის რაიონული განყოფილებების მუშაკები, კანაფისა და სელის სათესლე სადგურების მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების ტრესტების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, სოფლის მეურნეობის საოლქო და სამხარეო სამმართველოების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხელმძღვანელები და სპეციალისტები დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოყვანაში მათი მონაწილეობის მიხედვით.

თამბაქოს, სოიის, საბოჭკოე სელის, კანაფის, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა გამგეებისა და მთავარი აგრონომებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებასთან ან ორდენებით მათ დაჯილდოებასთან ერთად იმავე ჯილდოთი დაჯილდოებულ იქნას სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების სადარგო აგრონომი, თუ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ კულტურის უხვი მოსავლის მოყვანაში, რომლისთვისაც დაჯილდოება ხდება.

15. დაწესდეს, რომ ერთი წლის შედეგების მიხედვით კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მოწინავე შეიძლება დაჯილდოებულ იქნას ერთდროულად ორჯერ მემცენარეობასა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1950-1951 წლებში მთლიანად მარცვლეული კულტურების, ხორბლის, ჭვავის, უგრეხელის, ფეტვის, ჩუმიძის, სიმინდის, ბრინჯის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, კანაფის, მზესუმზირის, საზეთე სელის, მდოგვის, აბუსალათინის, სოიის, არახისის, ქინძის, თამბაქოს, წეკოს, ქოქ-საღიზის, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესლის და კარტოფილის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მათი დაჯილდოების შესახებ

(დასასრული)

და მეცხოველეობაში მუშაობის მაღალი მაჩვენებლების მიღების შესაბამისად, მაგრამ ჯილდოს ხარისხი ერთი წლის შედეგების მიხედვით განმეორებით დაჯილდოებისას კლებულობს ერთი საფეხურით.

16. დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ყველა უწყების დამხმარე მეურნეობების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სასელექციო სადგურებისა და ცხენსაშენების მუშაკები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სასწავლო მეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების საექსპერიმენტო და სხვა მეურნეობების, საცდელი სადგურების მუშაკები, თუ მათ შესრულებული აქვთ საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის დაწესებული მაჩვენებლები და პირობები. სასელექციო სადგურების დირექტორები, მათი მოადგილეები, უბნების გამგეები და მეცნიერი მუშაკები სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნან, თუ მათ შესრულებული აქვთ სასელექციო სადგურის მიერ ელიტური თესლის ჩაბარების გეგმა.

17. დაწესდეს, რომ მოსავლის აღების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება განისაზღვრება სახელმწიფო გეგმით დაწესებული ფართობისა და მოსავლიანობის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა ფაქტიური ფართობი გეგმით დაწესებულ ფართობს აღემატება, მოსავლის საგეგმო აღება გამოანგარიშებულ უნდა იქნას ნათესის ფაქტიური ფართობისა და გეგმით გათვალისწინებული მოსავლიანობის მიხედვით.

18. დაწესდეს, რომ ფაქტიური მოსავალი განისაზღვრება მიღებული მოსავლის აუცილებელი აწონით და სათანადო დოკუმენტების საფუძველზე შემოსავალში გატარებით. მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურების თესლისა და ბალახების ფაქტიური მოსავლის ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ კონდიციების გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფო დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პროდუქციის მიღების დროს. დაკონტრაქტებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფაქტიური მოსავლის ოდენობა, გარდა საბოჭკოე სელისა და კანაფის თესლისა, განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ოდენობით ჩაბარდა სახელმწიფოს მიღებული მოსავალი კონტრაქტაციის წესით და ნატურსაზღაური მტს-ის მიერ გაწეული მუშაობისათვის, რაიონებში ფაქტიური მოსავალი დადგენილ იქნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წლიური ანგარიშების საფუძველზე.

19. დაწესდეს, რომ ამ ბრძანებულების შესაბამისად სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად მუშაკებს წარადგენენ კოლმეურნეობების, მტს-ების, ცხენსაშენების, თავისი სისტემის საბჭოთა მეურნეობების, სასელექციო სადგურების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლო მეურნეობების ხაზით—სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საბჭოთა მეურნეობების ხაზით—სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, დამხმარე მეურნეობების ხაზით — სათანადო უწყებები მშრომელთა დეპუტატების საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მასალების საფუძველზე, რომლებიც შემოწმებული იქნება მოსავლიანობის გამომრკვევი სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექტორების მიერ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 27 აპრილი.

უერთდებიან თელაველთა პატრიოტულ თაოსნობას

მახარაძის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფართოდ გამოეხმაურნენ თელაველთა პატრიოტულ თაოსნობას ახალი სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადების შესახებ და იკისრეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების სახელმწიფო კანონის განუხრელად გატარებასთან ერთად რაიონში არსებული 15 საშუალო სკოლიდან კაპიტალური რემონტი გაუკეთონ 6 საშუალო სკოლას, საბავშვო ბაღს და საბავშვო სახლის მე-2 კორპუსს.

მახარაძელებმა ვალდებულება იკისრეს აგრეთვე 1 სექტემბრამდე ასკანისა და ცხემლისხიდის საშუალო სკოლის შენობებს დააშენონ მეორე სართული, ამავე რიცხვისათვის დაამთავრონ მერიის საშუალო სკოლის შენობის რეკონსტრუქცია, ძიმითის საშუალო სკოლისა და ბახვის საშუალო სკოლის 2 კორპუსის მშენებლობა; მიმდინარე რემონტი გაუკეთონ რაიონის 8 საშუალო სკოლას, მიმდინარე წელს დაიწყონ ნატანებისა და შრომის საშუალო სკოლებისათვის კაპიტალური შენობის აგება. რაიონში არსებული 19 რვაწლიანი სკოლიდან კაპიტალური რემონტი გაუკეთონ 2 რვაწლიან სკოლას, ხოლო მიმდინარე რემონტი—დანარჩენ 17 რვაწლიან სკოლას.

გარდა ამისა, მახარაძელებმა იკისრეს შეიძინონ 200 მერხი, 100 დაფა, 100 მაგიდა, 50 კარადა. შეაკეთონ 750 მერხი, 100 დაფა, 150 სკამი, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის კაბინეტებისათვის შეიძინონ 50.000 მანეთის ღირებულების ხელსაწყო-იარაღი.

ვალდებულებას ხელს აწერენ საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი **ვ. სიხარულიძე**, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დ. ჭეიშვილი**, სახალხო განათლების განყოფილების გამგე **ტ. დოლიძე**, ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ჯაბუა**, შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **მ. ორაგველიძე**, გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **გ. ნაკაიძე** და სხვები.

პროდუქციის ხარისხის საკითხი საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

სოხუმი. (საქ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა განიხილა სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. როგორც პლენუმზე აღინიშნა, გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. წელს გამოშვებული პაპიროსი, საკონდიტრო ნაწარმი, სოფლის ნივთები და სანავსადგურო მოწყობილობათა ნაწილები მთლიანად რეალიზებულია. ქალაქის საწარმოებმა ოთხი თვის გეგმა 113,1 პროცენტით შეასრულეს, ფართოდ ინერგება ალექსანდრე ჩუტკიხის მუშაობის მეთოდები.

ყველა შესაძლებლობა ჯერ კიდევ როდია გამოყენებული. არის დაბალი ხარისხის პურის და საკონდიტრო ნაწარმის გამოშვების ფაქტები. ლიმონათის ქარხანაში უხეშად არღვევენ დაწესებულ სტანდარტს. ამის შედეგად ჩამომსხმელი საამქროს გამგეს გვასალიას მარტო ერთ დღეს 1.222 ბოთლი ზედმეტი ლიმონათი აღმოაჩნდა. დაწესებულ სტანდარტს არ იცავენ ზოგიერთ სარეწაო არტელსა და კვების საწარმოში.

ამ ნაკლოვანებებში სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად ბრალი მიუძღვით პირველადს პარტორგანიზაციებს, რომლებიც სათანადოდ ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას და არ იყენებენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას.

ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

აბრეშუმის პარკის ახალი მოსავალი

ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" მეაბრეშუმემ ცაცა მამფორიამ 10 გრამ თესლზე მიიღო და სახელმწიფოს ჩააბარა 50 კილოგრამი აბრეშუმის პარკი და გეგმა 198 პროცენტით შეასრულა.

ამავე რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოს კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ საშა გახარიამ 3 გრამ თესლზე მიიღო 20 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, გეგმა 263 პროცენტით შეასრულა.

* * *

ყვარლის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ ანა კიკილაშვილმა გამოკვება 3 გრამი თესლიდან მიღებული აბრეშუმის ჭია და სახელმწიფოს ჩააბარა 21,5 კილოგრამი პარკი, გამოკვება დაამთავრა 24 დღეში და დავალება შეასრულა 278 პროცენტით.

ამავე რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ მერგოლურმა ფეფო ხარებაშვილმა 9,5 გრამ თესლზე მიიღო და სახელმწიფოს ჩააბარა 62 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, გამოკვება დაამთავრა 25 დღეში და გეგმა შეასრულა 254 პროცენტით.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისადმი

ა. წ. 30 მაისს საბჭოთა მთავრობის დავალებით სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ვაშინგტონში და სსრ კავშირის ელჩმა ლონდონში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს გადასცეს ნოტები იაპონიის იმპერატორ ხიროხიტოს და ზოგიერთი იაპონელი გენერლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის საკითხზე.

ქვემოთ ქვეყნდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის გადაცემული ნოტის ტექსტი.

„1950 წლის 1 თებერვალს საბჭოთა მთავრობის დავალებით ელჩს პატივი ჰქონდა გადმოეცა თქვენთვის ნოტა იმ საჯარო სასამართლო პროცესის შედეგების შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა ზღვისპირეთის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალში ქ. ხაბაროვსკში 1949 წლის 25-დან 30 დეკემბრამდე იაპონელი სამხედრო დამნაშავეების იამადას, ტაკახასის, კაძიცუკას და სხვათა საქმის გამო, სადაც გამოირკვა, რომ იაპონიის მმართველი წრეები იმპერატორ ხიროხიტოს მეთაურობით მრავალი წლის მანძილზე საიდუმლოდ ამზადებდნენ (სსრ კავშირის, ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ) ბაქტერიოლოგიურ ომს — აგრესიის ერთერთ ყველაზე არაადამიანურ იარაღს.

ამ პროცესზე აგრეთვე გამოირკვა, რომ იაპონელი სამხედრო დამნაშავეები არა მარტო ამზადებდნენ, არამედ მათ არაერთხელ კიდევაც გამოიყენებიათ ბაქტერიოლოგიური იარაღი თავიანთი აგრესიული გეგმების განხორციელების დროს: 1939 წელს—მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში; 1940-1942 წლებში — ჩინეთის წინააღმდეგ ომის დროს, როცა იაპონიის არმიის ბაქტერიოლოგიურმა ექსპედიციამ გამოიწვია შავი ჭირისა და ტიფის ეპიდემიები.

1 თებერვლის ხსენებულ ნოტაში აღნიშნული იყო, რომ ხაბაროვსკის სასამართლო პროცესზე გამორკვეული მონაცემებით დამტკიცებულია, რომ ბაქტერიოლოგიური ომის მომზადებასა და განხორციელებაში მთავარი როლი ეკუთვნოდა არა მარტო უკვე წინათ მსჯავრდადებულ იაპონელ სამხედრო დამნაშავეებს, არამედ იაპონიის იმპერატორ ხიროხიტოსაც, აგრეთვე იაპონიის არმიის გენერლებს ისიი სიროს (№ 731 რაზმის ყოფილ უფროსს), კიტანო მასაძოს (აგრეთვე № 731 რაზმის ყოფილ უფროსს), ვაკამაცუ იუძიროს (№ 100 რაზმის ყოფილ უფროსს) და კასახარა იუკიოს (კვანტუნის არმიის შტაბის ყოფილ უფროსს).

ემყარება რა იმას, რომ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება უკვე დიდი ხანია დაგმეს ცივილიზებულმა ერებმა, როგორც უმძიმესი დანაშაული, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხების ღირსებასა და სინდისს, და, როგორც ცნობილია, აკრძალულია ჟენევის 1925 წლის 17 ივნისის ოქმით, საბჭოთა მთავრობამ თავის 1 თებერვლის ნოტაში წინადადება წამოაყენა დანიშნულიყო უახლოეს დროში სპეციალური საერთაშორისო სამხედრო სასამართლო და აღნიშნულ საერთაშორისო სასამართლოს გადაეცემოდნენ, როგორც მხილებული სამხედრო დამნაშავენი, იაპონიის იმპერატორი ხიროხიტო და გენერლები ისიი სირო, კიტანო მასაძო, ვაკამაცუ იუძირო, კასახარა იუკიო.

საელჩოს საჭიროდ მიაჩნია გაგახსენოთ, რომ თუმცა ზემოაღნიშნული ნოტის გადაცემის შემდეგ სამ თვეზე მეტმა დრომ განვლო, პასუხი ამ ნოტაზე საელჩოს დღემდე არ მიუღია.

მიაქცევს რა ყურადღებას საბჭოთა მთავრობის დავალებით ამ გარემოებას, საელჩო მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სულ მოკლე ხანში პასუხს გასცემს სსრ კავშირის 1 თებერვლის ნოტაზე".

ამავე დროს ნოტის პირი გაეგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას.

გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ზემოთ მოყვანილი ნოტის პირი გადაეცათ ავსტრალიის, ბირმის, ჰოლანდიის, ინდოეთის, კანადის, ახალი ზელანდიის, პაკისტანისა და საფრანგეთის მთავრობებს, რომლებიც შედიან შორეული აღმოსავლეთის კომისიაში.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი ხელმძღვანელი

(მ. ი. კალინინის გარდაცვალების ოთხი წლისთავი)

3 ივნისს 4 წელი სრულდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი დამაარსებლისა და გამოჩენილი ხელმძღვანელის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალებიდან.

კალინინი, რომელმაც განვლო გზა პიტერის რიგითი პროლეტარიდან „საკავშირო სტაროსტამდე" — სოციალისტური სახელმწიფოს მეთაურამდე, ყოველთვის სარგებლობდა მთელი ხალხის პატივისცემითა და სიყვარულით. ნახევარი საუკუნე — მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიხეილ ივანეს-ძემ მოახმარა მშრომელთა განთავისუფლებისათვის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის გმირულ ბრძოლას.

მგზნებარე ბოლშევიკი, მასების დაუღალავი ორგანიზატორი ამხანაგი კალინინი ეკუთვნოდა იმ პროფესიონალ რევოლუციონერთა სახელოვან ლენინურ-სტალინურ კოჰორტას, რომლებმაც განვლეს არალეგალობის მკაცრი სკოლა, მიიღეს საბრძოლო ნათლობა გაამწვავებულ კლასობრივ ბრძოლებში თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მთელი მისი ცხოვრება მშრომელთა საქმისათვის, ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის თავდადებული სამსახურის მკაფიო მაგალითია.

ლენინგრადის კიროვის ქარხნის უძველეს მუშებს კარგად ახსოვთ ახალგაზრდა კალინინი, რომელიც 20 წლისა მოვიდა ქარხანა „სტარი არსენალიდან" პუტილოვის ქარხანაში. აქ ყოფილი ტვერელი გლეხი ჯერ ხარატად მუშაობდა, შემდეგ მელეკალედ. დაზგა, რომელზეც იმ წლებში მუშაობდა მიხეილ ივანეს-ძე, დღემდე ინახება როგორც რელიკვია, როგორც დიდი რევოლუციონერის სახსოვარი.

ცნობილია, რომ ამ პერიოდში ახალგაზრდა კალინინი უკვე დაუკავშირდა რევოლუციონერ მუშებს, აქტიურად ჩაება არალეგალურ მუშაობაში, საძულველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი მონაწილეობდა არალეგალურ მარქსისტულ წრეებში და ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში". პოლიციის მეთვალყურეობა, გადასახლება, მეფის საპყრობილეები — ყოველივე ეს განიცადა ბოლშევიკმა კალინინმა.

პოლიციის მიერ დევნილი მიხეილ ივანეს-ძე გაემგზავრა თბილისში, შემდეგ კი რეველში. თბილისის რკინიგზის სახელოსნოებშიც, რეველის ქარხნებშიც იგი განაგრძობდა რევოლუციურ მუშაობას, ბოლშევიკური სიტყვა შეჰქონდა მასებში, რაზმავდა მუშებს ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1905 წელს გადასახლებიდან პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ კალინინი კვლავ მთელი ენერგიით ჩაება რევოლუციურ მუშაობაში.

არალეგალობის წლებმა, თვითმპყრობელობის მძიმე პირობებში მკაცრი რევოლუციური ბრძოლის წლებმა გამოაწრთეს მიხეილ ივანეს-ძე, ჩაუნერგეს მას მტკიცე ბოლშევიკის, მასების ნიჭიერი ორგანიზატორის, მარქსიზმის დიადი იდეების მგზნებარე პროპაგანდისტის თვისებები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უშუალო მონაწილე, წითელი პიტერის პირველი ქალაქის თავი, მ. ი. კალინინი ი. მ. სვერდლოვის გარდაცვალების შემდეგ 1919 წელს წამოყენებულ იქნა სრულიად რუსეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე.

ეს იყო სამოქალაქო ომის მძიმე წლები, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით სამამულო ომს ეწეოდა უცხოელ დამპყრობთა და ბურჟუაზიისა და მემამულეების თეთრგვარდიული ხროვების წინააღმდეგ.

ბოლშევიკური პარტიის მთელი ღონისძიებები, მშრომელთა ღონისძიებები მაშინ დამორჩილებული იყო ერთი ამოცანისადმი — გაენადგურებინათ მტერი, დაეცვათ მსოფლიოში პირველი საბჭოთა რესპუბლიკა, უზრუნველეყოთ მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა.

„საკავშირო სტაროსტა" კალინინი ხშირად დადიოდა ფრონტებზე, აღაფრთოვანებდა და რაზმავდა მეომრებს მტრების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლისათვის. ამ პერიოდში იგი დიდ სახელმწიფოებრივ მუშაობას ეწეოდა ფრონტის დასახმარებლად ზურგის ორგანიზაციის დარგში.

1922 წლის დეკემბერში, მსოფლიოისტორიული აქტის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდეგ, მიხეილ ივანეს-ძე არჩეულ იქნა სსრ კავშირის ცაკის პირველ თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ 1938 წლის იანვარში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

27 წელიწადს — მეოთხედ საუკუნეზე მეტს — ამხ. კალინინი საბჭოთა სახელმწიფოს აშენებდა და განამტკიცებდა ლენინთან და სტალინთან ერთად, ყოველთვის და ყველაფერში გვიჩვენებდა ხალხისადმი, სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, კომუნიზმის დიადი საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს.

ურღვევი კავშირი ხალხთან, სახელმწიფოებრივი სიბრძნე, ბოლშევიკური პრინციპულობა, შეურიგებლობა პარტიისა და ხალხის მტრებისადმი, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი — ეს კეთილშობილი თვისებები ახასიათებენ დიდ რევოლუციონერს.

27 წელიწადი უდიდესი ეტაპია სოციალიზმის ქვეყნის ისტორიაში. მთელი ეს წლები ლენინ-სტალინის დიადი იდეებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი იბრძოდა, შრომობდა, ქმნიდა. საბჭოთა ხალხი გამოვიდა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე, განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიადი ლენინურ-სტალინური პროგრამა. მთელი თავისი მგზნებარე, მრავალმხრივი მოღვაწეობა, მთელი თავისი შესანიშნავი ნიჭი მ. ი. კალინინმა მოახმარა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცებას.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ქვეყანა მტკიცედ მიდის კომუნიზმის გზით. წარსულს ჩაბარდა ძველი, ჩამორჩენილი რუსეთი. სტალინურმა ხუთწლედებმა ჩვენი სამშობლო გადააქციეს მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც მოეპოვება დიდად განვითარებული თანამედროვე ინდუსტრია და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, მექანიზებული სოციალისტური მიწათმოქმედება.

სსრ კავშირში აგებულ სოციალიზმის დიად შენობაში ჩვენ ვხედავთ მილიონობით მშრომელთა ბრძოლისა და შრომის ნაყოფს, ბოლშევიკური პარტიის, მისი გამოჩენილი ხელმძღვანელებისა და ორგანიზატორების ხელმძღვანელობისა და დაუღალავი მოღვაწეობის ნაყოფს. ამ გიგანტურ აღმშენებლობითს მუშაობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლენინისა და სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა ამხ. კალინინმა.

მ. ი. კალინინი ყოველთვის იცავდა ბოლშევიკური პარტიის დიადი დროშის სიწმინდეს. შეურიგებლად იბრძოდა რა პარტიის მტრების — ტროცკისტების, ზინოვიეველებისა და სხვა საზიზღარი მოღალატეებისა და გამცემლების წინააღმდეგ, მიხეილ ივანეს-ძე მტკიცედ მიდიოდა ლენინის გზით. „ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რევოლუციური სინამდვილის უდიდესი ქმნილებანი, — ამბობდა იგი,—შესანიშნავი თემები იქნება მხატვრებისათვის. ასეთ დროს ცხოვრებაც მართლაც დიდი ბედნიერებაა. მიუხედავად იმისა, რომ 58 წლისა ვარ, უბედნიერეს ადამიანად ვთვლი ჩემს თავს, ვინაიდან ამ პერიოდში ვცხოვრობ. ჩვენ ვიცით — კომუნიზმი იქნება, ცხოვრება მშვენიერი და საინტერესო გახდება, მაგრამ ყველაზე საუკეთესო მომენტია ის, როცა კლასთა ბრძოლა წარმოებს, როცა შენ თვითონ მონაწილეობ ამ ბრძოლაში, როცა იცი, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვა პროლეტარიატი" (მ. ი. კალინინი, „კომუნისტური აღზრდისა და სწავლების შესახებ". 1948 წ. გვ. 31).

ამ სიტყვებში გაისმის პატრიოტული სიამაყე თავისი ხალხისათვის, თავისი საბჭოთა სამშობლოსათვის, მათში გაისმის მგზნებარე მოწოდება ყველა მშრომელისადმი — სოციალიზმის მშენებლებისადმი, რომ მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ კომუნიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მიხეილ ივანეს-ძე კალინინს მჭიდრო, ყოველდღიური კავშირი ჰქონდა ხალხთან. მას ხედავდნენ მუშათა და კოლმეურნეთა თათბირებსა და ყრილობებზე, კომკავშირელთა, საბჭოთა არმიის ჯარისკაცთა და მეთაურთა კრებებზე. იგი ხშირი სტუმარი იყო ქარხნების საამქროებში, კოლმეურნეობებში, ხუთწლედის ახალ მშენებლობებზე. კალინინის მისაღებ ოთახში რჩევისა და დახმარებისათვის მოდიოდნენ მშრომელი ადამიანები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ყველასთვის პოულობდა კალინინი გულითად, გამამხნევებელ სიტყვებს.

ცხოვრების უდიდესი გამოცდილება, მარქსიზმის ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევდნენ მას სახელმწიფოებრივი სიბრძნით გადაეწყვიტა უძნელესად რთული საკითხები.

მიხეილ ივანეს-ძეს სულით და გულით უხაროდა სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ქალაქად და სოფლად, ამასთან მოუწოდებდა მშრომელებს არ დაკმაყოფილებულიყვნენ მიღწეულით, არამედ, ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს მითითებათა თანახმად, განუხრელად ევლოთ წინ.

ამხ. კალინინი აქვირდებოდა ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ახალს, რასაც წარმოშობდა შეჯიბრება, მასების ინიციატივა, მიუთითებდა წარმოების აღმავლობისათვის შემდგომი ბრძოლის გზებს. იგი გულდასმით ადევნებდა თვალყურს სოფელს, რომლის წინაშეც საბჭოთა ხელისუფლებამ და საკოლმეურნეო წყობილებამ ახალი ცხოვრების ფართო გზა გახსნეს.

ლენინურ-სტალინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწე, ბოლშევიზმის იდეების გამოჩენილი პროპაგანდისტი, მშრომელთა ნიჭიერი და გულისხმიერი აღმზრდელი, კალინინი ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს. „კომუნისტური პრინციპები, თუ მათ უბრალო სახით ავიღებთ,— ამბობდა იგი,—ეს არის დიდად განათლებული, პატიოსანი, მოწინავე ადამიანის პრინციპები, ეს არის სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, მეგობრობა, ამხანაგობა, ჰუმანიურობა, პატიოსნება, სიყვარული სოციალისტური შრომისადმი და თვითეულისათვის გასაგები მთელი რიგი სხვა მაღალი თვისებები. ამ შესანიშნავი თვისებების დანერგვა წარმოადგენს კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს" (მ. ი. კალინინი. „კომუნისტური აღზრდის შესახებ", 1947 წ. გვ. 50).

ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის წლებში მიხეილ ივანეს-ძე მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ მას არ შეუწყვეტია თავისი თავდადებული მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მშრომელთა საკეთილდღეოდ. ამ დღეებში ბოლშევიკი ტრიბუნის მგზნებარე სიტყვას უსმენდნენ ჯარისკაცები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, კომუნისტები და კომკავშირელები, ქალაქებისა და სოფლების მშრომელები, რომლებიც ზურგში სჭედდნენ მტერზე გამარჯვებას. მძიმე განსაცდელის დღეებში კალინინი პოულობდა მკაფიო, ბრძნულ და მარტივ სიტყვებს, სიმხნევეს ნერგავდა ფრონტისა და ზურგის მებრძოლთა რიგებში. ღირსსახსოვარ საახალწლო ღამეს 1941 წლის 31 დეკემბერს „საკავშირო სტაროსტა" რადიოთი გამოვიდა პარტიისა და მთავრობის სახელით და გვაცნობა საბჭოთა არმიის პირველი დიდი გამარჯვებანი, მოგვიწოდა მთელი ძალები დაგვეძაბა ჩვენი მიწა-წყლიდან მტრის გასაძევებლად, მისი საბოლოო განადგურებისათვის.

ომის მთელ მანძილზე მ. ი. კალინინი განაგრძობდა უდიდეს სახელმწიფოებრივ მუშაობას, წარმართავდა მშრომელთა ღონისძიებებს დიადი მიზნის — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების მისაღწევად.

მ. ი. კალინინის მთელი მოღვაწეობა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებშიც და ომის წლებშიც ხალხისათვის, სამშობლოსათვის, კომუნიზმის დიადი საქმისათვის გმირული სამსახურის მაგალითია.

ძველი ბოლშევიკური გვარდიის წარმომადგენელი, ლენინის მოწაფე, სტალინის ერთგული თანამებრძოლი, მიხეილ ივანეს-ძე კალინინი გამსჭვალული იყო ლენინიზმის იდეების გამარჯვების ღრმა რწმენით.

გულითადი, გულში ჩამწვდომი სიტყვებით ლაპარაკობდა იგი ლენინის საქმის დიდ განმგრძობ ამხანაგ სტალინზე, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ლენინის გზით მიყავს.

„ამხანაგი სტალინი ყოველთვის ედგა სათავეში და ახლაც უდგას იმათ, ვისაც არ ეშინია ქარიშხლის, ვისაც მტკიცედ უპყრავს საჭე, გაბედულად მიაპობს ტალღებს და მტკიცედ მიდის კომუნიზმისაკენ. და სწორედ ამიტომ ყოველივე აქტიური, მოწინავე, ახალგაზრდა, კომუნიზმისათვის მებრძოლი ისწრაფვის მისკენ" (მ. ი. კალინინი. ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავისათვის, 1939 წ. გვ. 68).

ამ სიტყვებში გამოხატულია მთელი ხალხის სიყვარული ამხანაგ სტალინისადმი, მშრომელთა დიდი ბელადისადმი, ვისი სახელიც ახალი სამყაროს სიმბოლო, ყოვლისშემძლე კომუნიზმის სიმბოლო გახდა.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, მგზნებარე რევოლუციონერის, მშრომელთა საქმისათვის სახელოვანი მებრძოლის მ. ი. კალინინის სახე მუდამ იცოცხლებს ჩვენი ხალხის ხსოვნაში, მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანთა ხსოვნაში.

ფართოვდება და ძლიერდება მშვიდობის ფრონტი

პოლონეთში წარმატებით მიმდინარეობს სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია

ვარშავა, 31 მაისი. (საკდესი). როგორც პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო გადმოგვცემს, პოლონეთში წარმატებით მიმდინარეობს სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია. პრიმორიეს სავოევოდოში ხელმოწერის შეგროვების კამპანიაში მონაწილეობს 12 ათასი „მშვიდობის სამეული", ვარშავაში — თითქმის 4 ათასი.

პოზნანში გაიმართა ქსენძების თათბირი, რომლებმაც ერთსულოვნად გადაწყვიტეს ხელი მოაწერონ სტოკჰოლმის მოწოდებას.

მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ

პრაღა, 31 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიაში დამთავრდა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია. კამპანიამ განსაკუთრებული აღმავლობითა და ერთსულოვნებით ჩაიარა.

ჩეხოსლოვაკიაში შეგროვებულია 9.482.422 ხელმოწერა. ჩეხოსლოვაკიის ხალხმა ერთსულოვნად მისცა ხმა ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას, გამოთქვა მტკიცე გადაწყვეტილება — იბრძოლოს მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, დიდ საბჭოთა კავშირთან — ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველთან — ურღვევი მეგობრობისათვის.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს სესიის წინ

ლონდონი, 31 მაისი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს ლონდონში იხსნება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს სესია, გაზეთ „დეილი უორკერს" მოჰყავს განცხადება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარის ალენ ლე ლეაპისა, რომელიც ლონდონს ჩამოვიდა. ლე ლეაპმა განაცხადა, რომ ბიურო განიხილავს „ჯერ-ერთი, იმ მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მსვლელობას, რომელიც მოითხოვს ატომური ბომბის აკრძალვას; მეორე, მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მოწვევის გეგმებს. მეორე კონგრესი შემოდგომაზე გაიმართება გენუაში".

„ყველა ორგანიზაციას, — განაცხადა ლე ლეაპმა, — უეჭველია, წინადადება მიეცემა ფართოდ გააჩაღონ მუშაობა ხელმოწერის შესაგროვებლად".

„დეილი უორკერი" მიესალმება მშვიდობის დაცვის მოძრაობის ლონდონს ჩამოსულ ხელმძღვანელებს და წერს: „ჩვენი ხალხი ამაყობს იმით, რომ პატივი აქვს სტუმართმოყვარეობა გაუწიოს იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენში ჩამოვიდნენ როგორც მშვიდობის მოციქულები".

ლონდონში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს სესია

ლონდონი, 31 მაისი. (საკდესი). დღეს ლონდონში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს სესია.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა კონფერენცია

პეკინი, 29 მაისი. (საკდესი). გუშინ პეკინში გაიხსნა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საქალაქო კონფერენცია. კონფერენციას ესწრება 324 დელეგატი, რომელთა ნახევარს თეატრების მუშაკები შეადგენენ.

ვრცელი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სრულიად ჩინეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ასოციაციის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ გო მო-ჟომ.

საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა სამი მოხსენება: პროფესორ უ ხანისა — პეკინში ლიტერატურული მოძრაობის შესახებ ამ ქალაქის განთავისუფლებამდე, მწერალ ჯოუ ლიბოსი — სახალხო თეატრის შესახებ და პოეტ ვან ია-პინისა — ჩინელ მწერალთა მუშაობის 1950 წლის გეგმის შესახებ.

კონფერენციის ყველა მონაწილემ ხელი მოაწერა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებას.

ინტერესი ხელოვნებისადმი სახალხო ბულგარეთში

სოფია, 31 მაისი. (საკდესი). ბულგარეთის მშრომელები დიდ ინტერესს იჩენენ სახვითი ხელოვნებისადმი. სოფიის ეროვნულ სამხატვრო გალერეაში ათეულ ათასობით მნახველი მიდის.

ამას წინათ გამართულ სამხატვრო გამოფენაზე, სადაც ექსპონირებული იყო საუკეთესო თანამედროვე ბულგარელ მხატვართა, გრაფიკოსთა და მოქანდაკეთა 300 ნაწარმოები, ყველაზე მეტი წარმატება ჰქონდა: მხატვარ ი. პეტროვის სურათს „ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მე-5 ყრილობა", მოქანდაკე ი. ფუნევის ნამუშევარს „მუშკორები" და „პარტიული კრება", მხატვარ პ. პანაიოტოვის სურათს „ლეწვა შრომითს კოლექტიურ სამიწათმოქმედო მეურნეობაში" და სხვ.

გამოფენაზე წარმოდგენილ ნაწარმოებთაგან შერჩეულია 50 საუკეთესო სურათი და ქანდაკება მოძრავი გამოფენისათვის, რომელიც ამჟამად ქალაქ პლოვდივს გაიგზავნა. ამ გამოფენას ბულგარეთის ყველა დიდ ქალაქში უჩვენებენ.

ორწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება

ფხენიანი, 30 მაისი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ ცემენტის მრეწველობის საწარმოებმა, რომლებიც წარმატებით მონაწილეობენ შეჯიბრებაში ჩრდილოეთ კორეის განთავისუფლების მე-5 წლისთავის აღსანიშნავად, ვადაზე ბევრად ადრე შეასრულეს ორი წლის პროგრამა.

სინხორის ქარხანამ გეგმა 15 მაისს შეასრულა, ჩერნიარის ქარხანამ პროდუქციის უკვე 20 პროცენტი გამოუშვა გეგმის გადამეტებით, ხოლო მადონის ქარხანამ — 80 პროცენტი. პროგრამა ვადამდე შეასრულეს კომუსანის ქარხანამ და ხაიდიუს ცემენტის ქარხანამ.

წიგნი მასებს

ბუქარესტი, 29 მაისი. (საკდესი). რუმინეთის მუშათა პარტიის გამომცემლობამ მოაწყო მოძრავი წიგნის სავაჭროები ავტომანქანებზე, რომლებსაც სოფლებში მიაქვთ ახალი ლიტერატურა.

მოძრავი წიგნის სავაჭროებს დიდი წარმატება აქვთ მოსახლეობაში.

საომარი მოქმედება ვიეტნამში

პარიზი, 31 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ ვიეტნამში საომარი მოქმედება გაძლიერდა. ტონკინის ჩრდილოეთით დონგ-ხეს რაიონში საომარ მოქმედებას სამანევრო ომის ხასიათი მიეცა. გაზეთი აღნიშნავს, რომ მიღებული ცნობები ადასტურებენ დემოკრატიული არმიის შეტევითი უნარის გაძლიერებას.

სამხრეთში, საიგონის რაიონში განუწყვეტელი ბრძოლებია. გუშინ რკინიგზის ხაზზე ბიენხასა და ტრანგ-ბომს შუა ვიეტნამელთა ჯარებმა იერიში მიიტანეს სამხედრო ეშელონზე. და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და საომარი მასალა.

ჯოუ ენ-ლაის დეპეშა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ტრიუგვე ლისა და სამოქალაქო ავიაციის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივნის როპერისადმი

პეკინი, 30 მაისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც სთხოვს სამოქალაქო ავიაციის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოებიდან და სხდომებიდან განდევნონ გომინდანელთა რეაქციული ხროვის ნაშთების ეგრეთწოდებული „დელეგატები".

ასეთივე შინაარსის დეპეშა გაეგზავნა სამოქალაქო ავიაციის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ალბერ როპერს.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა ერთადერთი კანონიერი მთავრობაა, რომელიც ჩინელ ხალხს წარმოადგენს. ჯოუ ენ-ლაი სთხოვს მას დეპეშის შინაარსი აცნობოს სამოქალაქო ავიაციის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციის და ყველა დაინტერესებულ მხარეს.

ჯოუ ენ-ლაის დეპეშა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ტრიუგვე ლისადმი

პეკინი, 30 მაისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მეურვეობის საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციებისათვის გადასაცემად გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

1950 წლის 19 იანვარს მე გაცნობეთ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ ჯან ვენ-ტიანი დანიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომებსა და მუშაობაში, მათ შორის უშიშროების საბჭოს სხდომებსა და მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. 1950 წლის 2 თებერვალს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა ლი კე-ნუნმა გაცნობათ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ ძი ჯაო-ტინი დანიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში. მაგრამ ჩინეთის გომინდანის რეაქციული ხროვის ნაშთების უკანონო დელეგატები არ განუდევნიათ უშიშროების საბჭოდან, ეკონომიური და სოციალური საბჭოდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებიდან და ორგანიზაციებიდან, გარდა მსოფლიო საფოსტო კავშირისა, და დღემდე რჩებიან იქ. ეს გაუმართლებლად მიმაჩნია. რამდენადაც 1 ივნისს მოწვეულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის საბჭოს სესია, მსურს გაცნობოთ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ მინ იუნ-ჩენი დანიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის საბჭოში. გთხოვთ აცნობოთ ეს დაინტერესებულ მხარეებს და მალე მოგვცეთ პასუხი კითხვაზე, თუ როდის შეძლებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის მიერ დანიშნული ერთადერთი კანონიერი დელეგაცია მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში და როდის მიეცემათ მის წარმომადგენლებს უშიშროების საბჭოში, ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში, მეურვეობის საბჭოში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებსა და ორგანიზაციებში შესაძლებლობა — მონაწილეობა მიიღონ ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების სხდომებსა და მუშაობაში.

გამცემლებისა და ჯაშუშების გასამართლება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 31 მაისი. (საკდესი). დღეს სახელმწიფო სასამართლომ პრაღაში დაიწყო ჩეხოსლოვაკიის ხალხის იმ 13 გამცემისა და მოღალატის საქმის გარჩევა, რომლებმაც შექმნეს შეთქმულთა ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო ჩეხოსლოვაკიაში არსებული დემოკრატიული წყობილების დამხობა და დასავლეთი იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით ჩეხოსლოვაკიაში კაპიტალისტური წყობილების აღდგენა.

შეთქმულებისა და უცხოეთის ჯაშუშების ორგანიზაციის მეთაურები თავიანთ ძირგამომთხრელ და ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა დასავლეთი კაპიტალისტური ქვეყნების, ტიტოს იუგოსლავიის მთელი რიგი დიპლომატიური წარმომადგენლობის, აგრეთვე საელჩოების მოსამსახურეებისა და სხვა წარმომადგენლობითი ორგანიზაციებისა და დაზვერვის ორგანოების ხელმძღვანელობით.

ბრალდებულთა სკამზე სხედან: ყოფილი სახალხო სოციალისტთა პარტიის წევრი მილადა გორაკოვა, ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იოსებ ნესტავალი, ამ პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ფრანტიშკა ზემინოვა, ყოფილი მეფაბრიკე და სახალხო სოციალისტთა პარტიის წევრი ირჟი გეიდა, აგრეთვე მთელი რიგი სხვა გამცემლები და მოღალატეები, ყოფილი სახალხო სოციალისტთა პარტიის, ყოფილი სოციალური დემოკრატიის პარტიის წევრები და სხვა რეაქციული ელემენტები.

ყველას ბრალად ედება სახელმწიფო ღალატი და ჯაშუშობა უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ.

ბავშვების სავალალო მდგომარეობა ინდოეთში

დელი, 29 მაისი. (საკდესი). ინდოეთში ინგლისელ იმპერიალისტთა ხანგრძლივ ბატონობას და ამერიკის იმპერიალიზმის გაძლიერებულ შეღწევას თან ახლავს ხალხის მასების საშინელი ექსპლოატაცია, რამაც ისეთი პირობები შექმნა, რომ ინდოელ ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს თუნდაც დაწყებითი განათლება.

ინდოეთის მთავრობის ოფიციალური ანგარიშები ამტკიცებენ, რომ ამჟამად ინდოეთში წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 85-88 პროცენტს შეადგენს. სინამდვილეში წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი ბევრად უფრო დიდია.

ინდოელ მშრომელთა ბავშვები პატარაობიდანვე განწირული არიან მძიმე შრომისა, სიღატაკისა, ავადმყოფობისა და ტანჯვისათვის. დასავლეთ ბენგალიის პროვინციის მთავრობის მიერ შექმნილმა კომისიამ ამას წინათ გამოაქვეყნა ცნობები კალკუტელ მუშათა ცხოვრების პირობების შესახებ მუშათა იმ სახლებში, რომლებიც კალკუტაში და კალკუტის მუშათა გარეუბან ხაურაში ააშენეს მუნიციპალიტეტმა და მეწარმეებმა. კალკუტაში ამ სახლების 62 პროცენტს არა აქვს წყალსადენი, 17 პროცენტს — საპირფარეშოებიც კი, 42 პროცენტს არა აქვს უსუფთაობის გასაწმენდი მილები. მუშათა ამ სახლების ორგანიზაცია, რაც ხელსაყრელია მუნიციპალიტეტებისათვის, მუშებსა და მათს შვილებს ადამიანური ცხოვრების მინიმალურ პირობებსაც არ უქმნის.

მაგრამ ინდოეთის პირობებში მუშათა ასეთ სახლებშიც კი მუშათა მეტად მცირე რაოდენობას შეუძლია ცხოვრება. მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს თიხისა, ქვისა და ძველი ყუთებისაგან აშენებულ ქოხმახებში ან ღამეს ათევს ქუჩებში. ინდოეთის თვითეულ ქალაქში ათასობით არის ასეთი ქოხმახები; ისინი განსაკუთრებით ბევრია კალკუტაში, ბომბეიში და სხვა სამრეწველო ცენტრებში. ეს ქოხმახები ცუდად იცავენ ადამიანებს მზის მცხუნვარე სხივებისაგან და სრულებით ვერ იცავენ დიდი წვიმებისაგან, რომლებიც წელიწადში 3-4 თვეს გრძელდება.

არსებითად უსახლკარო მუშების შვილების ხვედრია სიკვდილი დაუძლურებით, მალარიით, ხოლერითა და სხვა სნეულებებით.

მოჯამაგირეთა შვილებს დაწყებით სკოლაში სწავლა არ შეუძლიათ, რადგან მათს მშობლებს არა აქვთ ფული სწავლის ქირის გადასახდელად და წიგნების საყიდლად.

სახალხო განათლებისათვის განკუთვნილი ხარჯები პროვინციების ბიუჯეტების საგასავლო მუხლების კვლავ უმნიშვნელო წილს შეადგენენ.

ნეკროლოგი

ო. დ. ცანავა

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი [illegible] ცანავა.

ო. დ. ცანავა დაიბადა 1894 წელს სოფელ ნალეისოვში (გეგეჭკორის რაიონი) გლეხის ოჯახში. 1912 წელს დაამთავრა ხონის (ამჟამად წულუკიძე) სახელოსნო სასწავლებელი. 1913 წელს შევიდა სავაჭრო ნაოსნობის გემის მექანიკოსთა კურსებზე, რაც 1917 წელს დაამთავრა და მიიღო მექანიკოსის წოდება.

კურსებზე სწავლის პარალელურად ო. ცანავა მუშაობდა ზეინკლად სევასტოპოლის პორტის მექანიკურ სახელოსნოში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პერიოდიდან აქტიურად მუშაობდა ბოლშევიკური პარტიის სევასტოპოლის ორგანიზაციაში. 1918 წელს რევოლუციური მუშაობისათვის თეთრგვარდიელებმა დააპატიმრეს, მაგრამ ორი თვის შემდეგ მოახერხა ციხიდან გაპარვა. ამის შემდეგ ო. ცანავა საქართველოში ჩამოდის, სადაც იგი ასრულებს მთელ რიგ არალეგალურ პარტიულ დავალებებს, რისთვისაც 1920 წელს მენშევიკებმა დააპატიმრეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ო. ცანავა მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებში. 1946 წლიდან იყო პერსონალური პენსიონერი.

ძველი ბოლშევიკის ამხ. ო. დ. ცანავას სახელი მუდამ დარჩება მისი ამხანაგების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი

ფეხბურთი

31 მაისს მოსკოვში, ერევანსა და ბაქოში ჩატარდა ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების კალენდარული მატჩები.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალებისა („ვვს") და ლენინგრადის „დინამოს" გუნდები. პირველ ტაიმში მოსკოველებმა გაიტანეს ბურთი ლენინგრადელთა კარში. მაგრამ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება მეორე ტაიმში ვერ შეძლეს და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ერევნის „დინამომ" თავის მოედანზე მიიღო სტალინოს „შახტიორის" გუნდი. მატჩი ჩატარდა ერევნელთა დიდი უპირატესობით და მათ შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4 : 1.

ბაქოში ჩატარებული მატჩი კიევის „დინამოსა" და ადგილობრივი „ნეფტიანიკის" გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 0 : 0.

გუშინ, 1 ივნისს, მინსკში ადგილობრივი „დინამოს" გუნდი შეხვდა სტალინგრადის „ტორპედოს" გუნდს. გამარჯვება მოიპოვეს მინსკის დინამოელებმა ანგარიშით 3 : 1.

ამავე დღეს კუიბიშევში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდები. დაძაბული თამაშის შემდეგ გამარჯვება წილად ხვდათ კუიბიშეველებს ანგარიშით 1 : 0.

ამრიგად, 2 ივნისისათვის პირველობის გათამაშების ლიდერია კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც 10 ჩატარებული შეხვედრის 20 შესაძლებელიდან მოგროვილი აქვს 16 ქულა.

„ხევისბერი გოჩა" ჭიათურის სახელმწიფო თეატრში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა", რომელიც პიესად გადმოკეთებულია ცნობილი ქართველი მწერლის ალ. ყაზბეგის ამავე სახელწოდების მოთხრობიდან.

როლებს ასრულებდნენ: ა. მოსეშვილი, ა. დათებაშვილი, გ. ნუცუბიძე (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი), გრ. ტყაბლაძე, შ. კუხიანი, ან. ბარათაშვილი, ბ. დურმიშიძე, შ. ბანეთიშვილი, გ. მოდებაძე, ვ. ვაშაძე და სხვ.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ცომაიამ, მხატვრულად გააფორმა დ. მირიანაშვილმა, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ მ. ესებუას, ცეკვების დადგმა ჯ. ჩიტიაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

პრეს-კონფერენცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საინფორმაციო უწყებაში

ბერლინი, 30 მაისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საინფორმაციო უწყებაში გაიმართა პრეს-კონფერენცია სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის შეკრებაზე ჩამოსული ყველა დელეგაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დამსწრეთ თავისი შთაბეჭდილება პირველმა გაუზიარა ჰოლანდიის დელეგატმა რინის გაქსმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეკრებამ მასზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. „შეკრების ყველაზე შესანიშნავი თვისება, — თქვა გაქსმა, — ის არის, რომ იგი ცხადყოფს პროგრესულ ახალგაზრდობის ერთიანობას, რომელიც დგას არა დემოკრატიის წინააღმდეგ მებრძოლი იმპერიალისტური რეაქციის მხარეზე, არამედ მშვიდობის მომხრეთა მხარეზე. შეკრებამ დაგვანახვა, რომ, მიუხედავად ინგლისისა და ამერიკის პროვოკაციული განცხადებებისა, პროგრესული გერმანელი ახალგაზრდობის სიმპათიები ეკუთვნის არა ბონს, არამედ დემოკრატიულ გერმანიას, ეკუთვნის მშვიდობისათვის ბრძოლას". რეაქციულმა ჰოლანდიურმა პრესამ, განაცხადა შემდეგ გაქსმა, თავი შეიშინა. ზოგიერთმა ჰოლანდიურმა გაზეთმა თავის მკითხველებს აცნობა, რომ ახალგაზრდობა შეიჭრა დასავლეთ ბერლინში და ეწევა „ბრძოლებს" ამერიკის პოლიციის წინააღმდეგ. აქედან თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ, თუ რა „სიმართლით" აშუქებს შეკრებას რეაქციული პრესა.

საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელმა კოჩემასოვმა უპასუხა კითხვაზე და თქვა, რომ ყველამ, ვინც სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის შეკრება ნახა, „არ შეიძლება არ აღიაროს, რომ ამ შეკრებაზე სულიერად წარმოდგენილი იყო მთელი გერმანელი ახალგაზრდობა. ეს არის შეკრების ძალა. საბჭოთა ახალგაზრდობა გამსჭვალულია პროგრესული გერმანელი ახალგაზრდობისადმი გულწრფელი მეგობრობის გრძნობით და მხურვალედ უსურვებს წარმატებას ერთიანი, პროგრესული, დემოკრატიული გერმანიისათვის სამართლიან ბრძოლაში".

უპასუხა რა ბერლინის რადიომაუწყებლობის წარმომადგენლის კითხვაზე, თუ როგორი აზრისაა პოლონელი ახალგაზრდობა ოდერისა და ნეისეზე გაყვანილი სამშვიდობო საზღვრების შესახებ, პოლონეთის დელეგატმა მატვინმა აღნიშნა, რომ ამ საზღვრის შეურყევლობას იცავენ ორი მხრიდან — პოლონეთიდან და გერმანიიდან. პოლონეთის მხრიდან — პოლონელი ხალხი და გერმანიის მხრიდან — მთელი მისი პროგრესული ძალები.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში ერთი მეტად საინტერესო ამბავი მოხდა. რუმინული გაზეთის „სკინტეია ტიპერეტულუის" რედაქტორმა ბრეაზუმ დასავლეთ გერმანიის იქ მყოფ კორესპონდენტებს ჰკითხა, რა მოელის შეკრების მონაწილეებს, რომლებიც შინ, დასავლეთ გერმანიაში დაბრუნდებიან, მათ რეპრესიები ხომ არ მოელითო, დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი კორესპონდენტი წუთიერი შეშფოთების შემდეგ ამაოდ შეეცადა დაემტკიცებინა, რომ შეკრების მონაწილენი დაუბრკოლებლად დაბრუნდებიან შინ და რომ თითქოს მათ არავითარი საფრთხე არ მოელით. დემოკრატიული პრესის ერთ-ერთმა კორესპონდენტმა სიტყვა ითხოვა და წაიკითხა ერთ-ერთი დილის გაზეთის ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ზონალური საზღვრის დასავლეთ მხარეზე ყოველ 20 მეტრზე დაყენებული არიან პოლიციელები შეკრების შინდაბრუნებული ყველა დელეგატის დასაკავებლად. გარდა ამისა, შექმნილია სპეციალური ბანაკები ყოველი დაკავებულის სამედიცინო შემოწმებისათვის.

პროფესორმა ეისლერმა ირონიულად შენიშნა: „ეს ალბათ კომუნისტური გაზეთია?". არა, მიუგო კორესპონდენტმა, ეს არის ინგლისელთა გაზეთი „დი ველტი". დარბაზში გაისმა საერთო ხარხარი. დასავლეთ გერმანიის გაზეთის კორესპონდენტი შეცბუნებული დაჯდა.

ბავშვთა დანაშაულობა ავსტრიაში

ვენა, 31 მაისი. (საკდესი). ავსტრიის დემოკრატიული გაერთიანების „ჰინდერლანდის" ბიულეტენმა გამოაქვეყნა მთელი რიგი მასალები ავსტრიაში ბავშვთა დანაშაულობის შესახებ. ვენაში 100 ათასზე მეტი ბავშვი იძულებულია დრო უმეთვალყუროდ, ქალაქის მტვერში ატაროს და კაპიტალისტური ქალაქის ქუჩის გამხრწნელი გავლენა განიცადოს.

ავსტრიაში ბავშვთა მზარდი დანაშაულობის მიზეზია ნაკლებობა საბავშვო ბაღებისა და სახლებისა, რომელთა რაოდენობა სულ უფრო მცირდება, ცუდი საბინაო პირობები, ბავშვებისადმი მეთვალყურეობის უქონლობა, რადგან დედები იძულებული არიან იმუშაონ. ბიულეტენს მოჰყავს შემდეგი ცნობები ვენაში ბავშვთა დანაშაულობის შესახებ: 1949 წელს ვენის პოლიციის ორგანოების მიერ რეგისტრირებულია ბავშვთა მიერ ჩადენილი ხუთი მკვლელობა, 458 გაძარცვა, 2.000 ქურდობა. ამჟამად ვენაში ითვლება 1.000 გოგონა, რომლებიც პროსტიტუციას ეწევიან.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

3 ივნისს

7.20 — გადაცემა გლეხობისათვის: „რესპუბლიკის მეჩაიეები ჩაის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში". 9.15 — კონცერტი: პროგრამაშია ბულგარელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 17.20 — რუსული ხალხური სიმღერები ბარსოვას, მაქსაკოვას და ლემეშევის შესრულებით. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის: პიონერული რგოლის რადიოშეკრება — როგორ დავისვენოთ ზაფხულში. 18.20 — კომპოზიტორების არაყიშვილის, გუდიაშვილის და ლაღიძის რომანსები და სიმღერები. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „კომკავშირელი სტუდენტები წარმატებით აბარებენ სახელმწიფო გამოცდებს". 19.15 — კომპოზიტორების ალექსი მაჭავარიანის და ნათელა სვანიძის სიმფონიური ნაწარმოებები. 20.20 — შუბერტის ექსპრომტები მუსიკოს შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის მიხნოვსკის შესრულებით. 20.35 — ლიტერატურული გადაცემა, უ. შექსპირის სონეტები. 20.55 — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 21.15 — საუბარი: „ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება, სულ უფრო მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია დედა-სამშობლოს". 21.35 — გადაცემა მიძღვნილი ბიზეს გარდაცვალების 75 წლისთავისადმი.

თეატრებში

2 ივნისს: ოპერისა და ბალეტის — „ტრავიატა" (მე-6 აბ. ნორცოვის მონაწილეობით); **გრიბოედოვის სახელობის** — „ქალიშვილი სტურით"; **სომხური დრამის** — „ოტელო" (ვ. ფაფაზიანის მონაწილეობით); **მუსიკალური კომედიის** — „მხიარული ქვრივი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „მშვიდობის მტრედები" (39-ე აბ. 3 ს.), „გაქვავებული ქალაქი" (51-ე აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „კუზიანი კვიცი" (სომხური თეატრის შენობაში).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1950 წლის 14 ივნისს, დღის 1 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვენერა ურუშაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„თარგმანის პრინციპების ზოგიერთი საკითხი („ქართული პოეზიის ანთოლოგიის" ინგლისურ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით)"**.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **გ. ახვლედიანი**, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **გ. გაჩეჩილაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას პირველ კურსზე 1950-51 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ განყოფილებებზე.

ინსტიტუტი ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს სასწავლებლებისათვის, სპორტული ორგანიზაციებისათვის და ხელმძღვანელ მუშაკებს ფიზიკური კულტურის კომიტეტებისათვის, უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის.

სწავლების ვადა 4 წელია. ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ჯანმრთელი პირები.

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი). რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ქიმიაში, ფიზიკასა და ფიზიკურ მომზადებაში.

ფიზიკურ მომზადებაში მისაღები გამოცდების ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან: „მშო"-ს მეორე საფეხურის ნიშნოსნები და თანრიგოსნები სპორტის ცალკეული სახის მიხედვით.

აკადემიურად წარჩინებული ყველა სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო სტიპენდიით 295 მანეთიდან 395 მანეთამდე (ფრიადოსნებს ეძლევათ 25%-ით მეტი).

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სასწავლებლის ატესტატი (დედანი), გ) სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4), დ) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, ე) პასპორტი (უნდა წარმოადგინონ პირადად).

სტუდენტები ინსტიტუტში მისვლის დღიდან უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სპორტული ტანსაცმელით და სასადილოთი.

სტუდენტები ინსტიტუტში სწავლების ოთხი წლის მანძილზე შეისწავლიან: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, პოლიტეკონომიას, ანატომიას, ზოგად და სპორტულ ფიზიოლოგიას, ზოგად და სპორტულ ფსიქოლოგიას, ჰიგიენას, ადამიანის ფიზიკურ განვითარებას და საექიმო კონტროლს, სამკურნალო ფიზკულტურას და სპორტის მასაჟს, პედაგოგიკის თეორიას და ისტორიას, ფიზიკური აღზრდის თეორიას, სპორტის ცალკე სახეების მიხედვით ტექნიკასა და სწავლების მეთოდიკას.

მისაღები გამოცდები — 1-დან 20 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

საბუთების მიღება იწარმოებს ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში ა. წ. 20 ივნისიდან.

მისამართი: 300 არაგველის ალმართი № 2, ტელეფონი 3-81-01.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის მეორე საფერშლო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას I კურსზე 1950-1951 სასწავლო წლისათვის.

სკოლა ამზადებს კვალიფიციურ საშუალო სამედიცინო განათლების მქონე ფერშლებს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებით. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. სწავლა იწარმოებს დღის საათებში.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო სტიპენდიით საერთო წესით.

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის 14-დან 30-მდე წლის ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ განათლება არანაკლებ არასრული საშუალო სკოლისა.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი). უგამოცდოდ ჩაირიცხებიან 1949 და 1950 წლებში არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), მეტრიკული ამონაწერი (დედანი), ჯანმრთელობის მოწმობა, ავტობიოგრაფია, სამი შემოწმებული ფოტოსურათი, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

საბუთების მიღება წარმოებს სკოლის კანცელარიაში, კამოს ქ. № 51, დღის 3 საათიდან საღამოს 8 საათამდე ა. წ. 31 ივლისამდე. ტელეფონი № 3-81-67.

კიროვის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების და სანიტარული ეპიდემიური სადგურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ ო. ი. რჩეულიშვილს მისი მამის **ივანე მიხეილის-ძე რჩეულიშვილის** გარდაცვალების გამო.

თბილისის ქალთა I საშუალო სკოლის დირექცია, პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ პროკოფი ვადაჭკორიას მისი დედის **სონია თედორეს ასულ ვადაჭკორიას** გარდაცვალების გამო.

დეიდები საშა გოგოლაძე, ნინო მეუღლით შალვა სანებლიძით იუწყებიან **ელენე კონსტანტინეს ასულ ახანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-VI, 8 ს. გამოსვენება 4-VI, 3 ს. ხეთაგუროვის, 29.

თბილისის ზეთსახდელი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ასანიშვილს მისი დის **ელენე კონსტანტინეს ასულ ახანიშვილის** გარდაცვალების გამო.

ძმისწული ევგენი, ბაბულია, არჩილ, მედიკო ჩხეიძეები, ვანიკო და ეთერ ჰანიშვილები იუწყებიან **მარიამ ჰუმბურიძის** გარდაცვალებას.

შვილი ჯუმბერ ჰუმბურიძე, რძალი ლილი ელენტი, ქეთო ჩიჩუა, მაზლიშვილები თინა და იოსებ ჰუმბურიძეები იუწყებიან **მარიამ ჩხეიძე-ჰუმბურიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-VI, 8 ს. გამოსვენება 4-VI, 2 ს. ბელინსკის, 21.

თ. და გ. ყურაშვილები, შ. ქვანია, მ. და შ. ვასაძეები, ა. მარლანია, ა. გაბუნია, ნ. კაჩიბაია თანაგრძნობას უცხადებენ მ. გეთიას მისი შვილის **რეზოს** გარდაცვალების გამო.

საქართველოს „გლავმეტალოსბიტის" მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **კოლია (ონისიმე) ცანავას** გარდაცვალებას.

მშობლები მიშა და ვენერა, ძმა ჯემალ, და მზია გეთია იუწყებიან **რეზოს** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VI ზუგდიდში.

თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის „თბილსათბობის" ტრესტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ახვლედიანს მისი მეუღლის **მანია (მარო) ივანეს ასულ თურქესტანიშვილი-ახვლედიანის** გარდაცვალების გამო.

და მატრონა, დისწულები ლოლა, ვარლამ, ქეთო, ანგელინა, თამარ, ნინო დარსალიები, სიძეები ვ. კორტავა, ა. ჩხეიძე, შ. ცომაია, რძალი პელო ოჯახებით იუწყებიან **სოფიო სამსონის ასულ იმნაძე-მეგრელაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობის რაიონული სამმართველოს „საქენერგოს" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ინჟინერ დავით ბახტაძეს მისი მამის **ანტონ მიხეილის-ძე ბახტაძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 4-VI სიმონეთში (ჩხარის რაიონი).

მეუღლე ნინო, შვილები ვარლამ, რობერტ, ელდარ, რძალი ეკატერინე, შვილიშვილი ჟულვერ იუწყებიან **კლიმენტი კონსტანტინეს-ძე ჩიქვანაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-VI, გამოსვენება 4-VI, 4 ს. ზოოტექნიკური, 18.

მეუღლე ელისაბედ, შვილები ტასო, მიხეილ, რძლები ლუბა, ფენია, სიძე იერემია იმნაიშვილი, შვილიშვილები სოსო, ანზორ, ზაირა, რეზო, ნოდარ, თეიმურაზ, სერგო, ეთერ, ნუნუ, ნაზიკო იუწყებიან **სოლომონ ნანიკოს-ძე ორაგველიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VI შუხუთში.

და მატრონა, დისწულები მაშო, თამარ, ანა, მარგალიტა საყვარელიძეები, სიძეები გ. ფხალაძე, ზ. ხუსკივაძე შვილებით იუწყებიან, რომ 4-VI, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **სოლომონ ექვთიმეს-ძე წერეთლის** პანაშვიდი.

რძალი ალექსანდრა, ძმისწულები მიხეილ, ლევან, ნატალია, მირიან რჩეულიშვილები ოჯახებით, ნინო, კოტე ნაცვლიშვილები ოჯახით იუწყებიან **ივანე მიხეილის-ძე რჩეულიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-VI, 8 ს. გამოსვენება 3-VI, 6 ს. ბროსეს, 4.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-91-84, სასოფლო-სამეურნეო—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტო და საბჭოთა მშენებლობისა—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორისა—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03349